ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 37

სხდომის ჩატარების დრო:
5 ივლისი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი.**

ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თეა ჯუღელი**
იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:
დიმიტრი მხეიძე, პაატა ლილუაშვილი, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე, ხათუნა არველაძე.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბატონი ირაკლი შენგელია**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი **ბატონი გაგა სანდუხაძე**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი **ბატონი პეტრე ადამაძე**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ბატონი ივანე ჟორჟოლიანი**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ქალბატონი მარეხ ნიჟარაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **ქალბატონი ნინო ბიბილეიშვილი.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის

დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: გია ბასილაძე, რომან ქვაჩაკიძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ზემოაღნიშნული საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, ბატონმა **ივანე ჟორჟოლიანმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ივანე ჟორჟოლიანმა** აქვე განმარტა: - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხას ემატება ერთი შტატი, კერძოდ, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტი.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ბაქარ მახარაძე: - „ნამდვილად საჭიროებს საკრებულო დამატებით თანამშრომელს.“

თეა ჯუღელი: - „დიახ, USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება და ამ მხრივ, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას მნიშვნელოვანი როლი აკისრია და ამიტომაც მნიშვნელოვანი იქნება კადრის დამატება.“

ბაქარ მახარაძე: - „რამოდენიმე სიტყვას დავამატებ, USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და გეგმა მუშავდება, ძალიან დიდი როლი და ფუნქცია ექნება ამ კომისიას. პირველი შემთხვევაა, როდესაც ამ კომისიიდან დაიწყება მეთოდოლოგიის შემუშავება და შემდგომ გაგრძელდება ალბათ სხვა კომისიებზეც. ასეთი დადებითი ცვლილებები ხორციელდება კომისიის ფუნქციების, როლის შესასრულებლად, შესაბამისად, მეტი ადამიანის ჩართულობასაც საჭიროებს კომისიის საქმიანობაში, რის საფუძველზეც მოწვეული სპეციალისტი ემატება კომისიას.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: გია ბასილაძე, რომან ქვაჩაკიძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი.

ღია კენჭისყრით, (მომხრე - 5, თავი შეიკავა - ხათუნა არველაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **პეტრე ადამაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **პეტრე ადამაძემ** აქვე განმარტა: „მოკლედ მოგახსენებთ, რომ რამოდენიმე ცვლილება იქნება შეტანილი ამ დადგენილებაში, კერძოდ, ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ემატება, ასევე შიდა აუდიტის სამსახურში იქმნება ორი მეორადი სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის და რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილება, ასევე მერიის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურე - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული კონსულტანტი გენერალური გეგმის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების საკითხებში.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ხათუნა არველაძე: - „მერიაში არსებული კადრი ვერ ახერხებდა იმ სამუშაოს შესრულებას, რისთვისაც ახლა ერთი შტატი ემატება?“

პეტრე ადამაძე: - „გენერალური გეგმის შემუშავების პროცესი საკმაოდ ფართომასშტაბიანი და შრომატევადია, ამავე დროს, არსებული დოკუმენტაცია მოითხოვს უფრო ფოკუსირებულ მუშაობას, შესაბამისად, სამსახურის ხელმძღვანელის რეკომენდაციით და ერთობლივი მუშაობით, გადაწყდა, რომ უშუალოდ ამ კომპონენტზე იყოს ერთი პასუხისმგებელი პირი, რომელიც უფრო მეტად ფოკუსირებული იქნება აღნიშნული საკითხის შემუშავებაზე და იქნება 1 კონკრეტული პირი განსაზღვრული, რომელიც თქვენს კითხვებსაც უფრო დეტალურად უპასუხებს და ასევე, იმუშავებს კონტრაქტორ კომპანიასთან, რომელიც თავის მხრივ დოკუმენტაციაზე მუშაობას მოითხოვს.“

ხათუნა არველაძე: - „რამდენი შტატია არქიტექტურის სამსახურში?“

პეტრე ადამაძე: - „არქიტექტურის სამსახურში არის 20 შტატი, თუმცა ამ ცვლილებით შტატში არ შედის ცვლილება, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი იყო 2, ემატება ერთი და ჯამში 3 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი იქნება. რაც შეეხება შიდა აუდიტის სამსახურს, აქ შტატში ცვლილება არ შედის, უბრალოდ, მეორადი სტრუქტურული ერთეულები ყალიბდება და შტატების ჯამური ოდენობა არ იცვლება. რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამსახურს, ემატება ერთი შტატი, ადმინისტრაციული სამსახურის

ხელმძღვანელის მოადგილე. არსებულმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უფრო ეფექტური იქნება თუკი ერთი ადამიანი იქნება პასუხისმგებელი, ეს არის საჯარო მოხელე და კანონის შესაბამისად, გამოცხადდება კონკურსი."

ბაქარ მახარაძე: - „ნამდვილად საჭიროა ამ შტატის დამატება, რადგან ადმინისტრაციული სამსახური შრომატევად საქმიანობას ახორციელებს, 12 ადმინისტრაციული ერთეულია და 1 პასუხისმგებელი პირი მათთან კომუნიკაციისათვის ძალიან მნიშვნელოვანია."

პეტრე ადამაძე: - „ადმინისტრაციული ერთეული ჯამში მოიცავს 158 საჯარო მოხელეს და საჯარო მოსამსახურეს, მასში შედის 6 განყოფილება და 12 ადმინისტრაციული ერთეული."

თეა ჯუღელი: - „დადგენილების მეორე დანართში ტექნიკური შეცდომაა, მე-2 დანართის მე-5 პუნქტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა ნაცვლად „2"-სა უნდა ეწეროს „3" და ეს უნდა შესწორდეს."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გია ბასილაძე, რომან ქვაჩაკიძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი.

ღია კენჭისყრით, (მომხრე - 5, თავი შეიკავა - ხათუნა არველაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. შენიშვნა მიეცეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას წარმოდგენილი საკითხის დანართ 2-ში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების თაობაზე - კერძოდ, მე-2 დანართის მე-5 პუნქტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა ნაცვლად „2"-სა უნდა ეწეროს „3".

მუხლი 2. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 3. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნებით თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **გაგა სანდუხაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **გაგა სანდუხაძემ** აქვე განმარტა: „მოგახსენებთ, რომ რამოდენიმე დღის წინ ზუსტად გვქონდა ამ საკითხზე საუბარი, როცა სამსახურის ანგარიში წარვადგინეთ იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე. წარმოდგენილი დადგენილება გულისხმობს ორი მეორადი სტრუქტურული ერთეულის შექმნას. ჩვენ განმარტებით ბარათშიც გვაქვს მითითებული, რომ 2010 წლის 30 ივლისის მთავრობის განკარგულება, როგორც შიდა აუდიტის სუბიექტს მავალდებულებს, რომ პერიოდულად მოხდეს დებულების გადასინჯვა და წინადადების მომზადებას. მოკლედ რომ მოგახსენოთ, ჯერ კიდევ 2013 წლამდე შიდა აუდიტის სამსახური არ არსებობდა და ის იყო ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული, რაც დღევანდელი გადმოსახედიდან სრულიად შეუსაბამო იყო, შესაბამისად, 2019 წლიდან ის არსებობს როგორც დამოუკიდებელი სამსახური და მუდმივად განიცდის ცვლილებებს. ამ სამსახურის შემადგენლობაში შედიოდა შიდა აუდიტის და სამსახურებრივი ინსპექტირების განყოფილება. ინსპექტირების განყოფილება ახდენდა რეაგირებას დისციპლინური გადაცდომებზე, რაც თანამედროვე მიდგომების მიხედვით, შიდა აუდიტს უნდა გაემიჯნოს და რამოდენიმე მუნიციპალიტეტმა ეს ცვლილება განახორციელა და მათ შორის ერთ-ერთი პირველები ვიყავით ჩვენც. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციებისა თუ გარე შეფასებების მიღების თანახმად, აუცილებელია შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების მუდმივი და პერიოდული მონიტორინგი, რასაც სჭირდება ადამიანური რესურსი. სწორედ ამ მიზნით შევიმუშავეთ დებულების პროექტი, რომლის მიხედვითაც იქმნება ორი განყოფილება - შიდა აუდიტის განყოფილება, რომელიც დღეის მდგომარეობით ახორციელებს თავის ფუნქციებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ხოლო რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილება ორიენტირებული იქნება ამ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგზე და მოამზადებს შესაბამის ანგარიშებს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი დაეხმარება სამსახურს და ზოგადად დაწესებულებას მეტი სარგებლის მიღებაში.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ხათუნა არველაძე: - „თქვენს განმარტებით ბარათში არ იკითხება რა ცვლილება შედის დადგენილებაში. მაშინ როდესაც დადგენილების ნაწილში აუცილებლად უნდა იყოს ჩაშლილი კონკრეტულად სად შედის ცვლილება. თუ დავუშვათ, ეს ცვლილება აღარ არის და მთლიანად მოიცავს დოკუმენტის იურიდიულ გამართულობაზე საუბარს, მაშინ უნდა მივმართოთ აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას და თავიდან უნდა ჩამოყალიბდეს. აქ კი იმდენად მშრალი ინფორმაციაა დადგენილების პროექტში და თვითონ განმარტებით ბარათში, არსად არ იკითხება რომელ კონკრეტულ მუხლში არის ცვლილება შესული. ეს აუცილებელია, რომ ჩვენ ადვილად ვნახოთ და საერთოდ ზოგადად აქტის მომზადების

პრაქტიკა ასეთია. ამიტომ სასურველია ჩვენ უფრო მეტი ინფორმაცია მოგვეწოდოს საკითხის ირგვლივ.

ირაკლი შენგელია: - „ჩვენთვის ცნობილია ეს და ქალბატონ თეასთან ჩვენ გვქონდა ამაზე მსჯელობა. სწორედ ამაზე გვქონდა საუბარი, განმარტებით ბარათში არ არის სრულყოფილი ინფორმაცია, რომელიც განმარტავს თუ რა მოცულობის ცვლილება შედის დადგენილებაში. აქ უფრო ღრმად შეგვიძლია შევიდეთ და გავაუქმოთ დებულება და ჩამოვაყალიბოთ ახალი. მე უბრალოდ მინდა წარმოგიდგინოთ დოკუმენტი, რომელიც შემდგომ შემოვიდა, სადაც უშუალოდ საუბარია განმარტებითი ბარათის ნაწილზე, საუბარი წერილში არის მაგალითად იმაზე, თუ კონკრეტულად რა ემატება დოკუმენტის ნაწილში. რაზეც მინდა აქცენტი გავაკეთო, ეს არის ორი საკითხი, რომელიც საშტატო ნუსხას და დებულებაში ცვლილებას ეხება, გადავაწერეთ უკვე იურიდიულ განყოფილებას. იურიდიული განყოფილება დასკვნის სახით სანამ წარმოგვიდგენს შევიკავოთ თავი და ბიუროს სხდომაზე შევაჯამოთ, თუკი რაიმე ცვლილება იქნება განსახორციელებელი შეგვიძლია ხელახლა ვიმსჯელოთ ამაზე და ამ საკითხების ირგვლივ მოვახდინოთ რეაგირება. უბრალოდ მარტივად რომ ვთქვათ, იმდენად მწირი დროა, გუშინ შემოვიდა საკითხი და დღეს უკვე სხდომა გვაქვს, იურიდიულმა განყოფილებამ ვერ მოახერხა და სამდივნო განყოფილებამ სტილისტურად გადახედვაც ვერ მოასწრო, რომ რაიმე შენიშვნა თუკი იყო მოეხდინა იდენტიფიცირება. შესაბამისად, როდესაც დასკვნები გვექნება ამ საკითხების ირგვლივ, შემდეგ შეგვიძლია უკვე მსჯელობა განვაახლოთ და თუ რაიმე შენიშვნა გვექნება მისი გათვალისწინებით გავიტანოთ საკრებულოს სხდომაზე. მესმის თქვენი აბსოლუტურად, რაზეც ისაუბრეთ თქვენ, ამაზე უკვე გვქონდა მსჯელობა კომისიის თავმჯდომარესთან და ასევე ამ საკითხის ამ ფორმით მოგვარება გადავწყვიტეთ, რომ დაველოდოთ იურიდიული განყოფილების დასკვნას, რომელიც თავის მოსაზრებას ჩამოაყალიბებს და მათ შორის იყოს ეს ყველაფერი შეჯერებული. მე ვეთანხმები ბატონ გაგას შინაარსობრივ ნაწილზე, როდესაც ჩვენ შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში მოვისმინეთ, გვქონდა ამაზე საუბარი და საჭიროებაზე მათ შორის, ანუ ამის საჭიროება რომ სამსახურში გაჩნდეს ასეთი განყოფილება ნამდვილად არსებობს. ჩვენ რომ არ ვიმსჯელოთ ამაზე, კონკრეტულმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმაც მოგვიწოდა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რამდენად ვიქნებით სამართლებრივ ნაწილში გამართულები, ეს დამოკიდებული იქნება დასკვნებზე და შემდგომ მივიღოთ გადაწყვეტილება დავუჭიროთ თუ არა მხარი.“

თეა ჯუღელი: - „დებულებაში რამდენიმე ადგილას გამოყენებულია საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, რომლის სახელწოდებაც ამჟამინდელი რედაქციით არის საქართველოს კანონი ,,კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6 წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გია ბასილაძე, რომან ქვაჩაკიძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი.

ღია კენჭისყრით, (მომხრე - 5, თავი შეიკავა - ხათუნა არველაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. შენიშვნა მიეცეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას წარმოდგენილი საკითხის დანართში ხარვეზის შესწორებაზე, დებულებაში რამდენიმე ადგილას გამოყენებულია საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, რომლის სახელწოდებაც ამჟამინდელი რედაქციით არის საქართველოს კანონი ,,კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

მუხლი 2. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 3. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნებით თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი